

საბჭოთა ქვეყნული

საშუაგატი
10
ივლისი
№ 77 (11563)
1990

ქართული
1921 წლიდან

საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი შანი 8 კაპ.

ს.კ. სარ. კ. ვარჯიშაძე
თბ. საბ. რესპუბ.
საბჭოთაო

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

1990 წლის 6 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის პლენარულ სხდომას თავმჯდომარეობდა გ. გ. გუმბარიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ყრილობაზე განახლდა კამათი განსახილველ საკითხთა გამო. სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: პ. კ. ლუჩინსკი — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ვ. მაქსიმოვი — მწერალი, სმოლენსკის ოლქი, ვ. ა. ვაიგორონსკი — დონეცის ოლქის საწარმოო გაერთიანება „აზოვმანჩანის“ ელექტრომშენებელი, ა. პ. რუბინი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ტ. კაბელკოვა — აბაკანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, ხაყასეთის ავტონომიური ოლქი, დ. ნ. კუგულტინოვი — მწერალი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, უაღმუხეთის ასსრ, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ყირგიზეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ლ. დ. ზაკოვრიაშინა — ალტაის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ბოროვოს“ მოიჯარე მეზობრე, კ. მახამოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ტაჯიკეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მ. ა. ულიანოვი — რუსეთის სფსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მოსკოვის ევგენი ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვ. მ. მოვსისიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ე. ელცინი — რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ს. ა. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, თურქმენეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბ. ა. კუსტოვი — დასავლეთ ციმბირის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი, კემეროვის ოლქი, ვ. მ. ზიუკინი — საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. პოტაპოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, ა. ვ. ბუზგალინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მარქსისტული პლატფორმისაგან, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა პ. კ. ლუჩინსკი — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

კამათში მონაწილეობდნენ: ვ. ნ. შოსტაკოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში დემოკრატიული პლატფორმისაგან, მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის რექტორი, ა. ა. სერგეევი — რუსეთის კომუნისტთა საინიციატივო ყრილობისაგან, შვედნიკის სახელობის პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის კათედრის გამგე.

შემდეგ სკკპ XXVIII ყრილობის მისამართით შემოსული წერილებისა და მიმართვების ხასიათზე ინფორმაცია გააკეთა ყრილობის სამდივნოს ხელმძღვანელმა ა. ნ. ილინმა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ყრილობის მუშაობის არასაკმარისად ფართო, მთელ რიგ შემთხვევებში კი ტენდენციური გაშუქების შესახებ შემოსული კრიტიკული შენიშვნების თაობაზე განმარტება გააკეთა და კომპარტიული წინადადებები შეიტანა პრესასთან კავშირის ჯგუფის ხელმძღვანელმა ლ. პ. კრავჩენკომ.

შემდეგ კამათი გაგრძელდა. ყრილობაზე გამოვიდნენ: გ. ი. იანაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ჩ. ათმათოვი — მწერალი, უურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურას“ მთავარი რედაქტორი, ყირგიზეთის სსრ, ე. ა. სილარი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. პოლოჯკოვი — რუსეთის სფსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ა. პერშინი — „ბრატსკ-ქალაქმშენის“ საპროექტო-სამშენებლო გაერთიანების ენერგომექანიზაციის სამმართველოს ელექტრომონტიორი, ირკუტსკის ოლქი, ვ. ს. ბელო-

უსოვი — ცემენტის ქარხნის ბრიგადირი, ქ. სემიპალატინსკი, ლ. პ. როდინოვა — კალინინის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოქკოს“ კონტროლიორი, კალინინის ოლქი.

1990 წლის 7 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სახდომას უძღვებოდა ს. ა. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, თურქმენეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ვ. ლ. იურჩენკოვა — გომელის ოლქის ხოინიკის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი.

შემდეგ მოისმინეს ყრილობაზე მომუშავე სექციათა წარმომადგენლების ინფორმაციები.

მოსხენებში გამოვიდნენ: „პარტიის განახლების“ სექციისაგან — ი. ი. მელნიკოვი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი; „იდეოლოგიური მუშაობის“ სექციისაგან — ი. ტ. ფროლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი;

„სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის“ სექციისაგან — ს. ი. გურენკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; „სკკპ აგრარული პოლიტიკის“ სექციისაგან — ვ. ა. სტაროდუბცევი, ტულის ოლქის ლენინის სახელობის ჯიშთსანაშენე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე;

„პარტიის საბჭოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების“ სექციისაგან — ვ. ა. კუპცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მუშაობის განყოფილების გამგე;

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის“ სექციისაგან — ა. ნ. გირენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის“ სექციისაგან — ვ. მ. ფალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე.

მოსხენებთან დამთავრების შემდეგ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ ყრილობის მონაწილეთა კითხვებს უპასუხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრებმა: ნ. ი. რიუკოვა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ა. მედვედევა და ა. ნ. იაკოვლევა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა.

1990 წლის 8 ივლისს მოსკოვში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა. იგი მიმდინარეობდა პლენარული სხდომების ფარგლებს გარეთ.

კრემლის ყრილობათა სასახლეში მ. ს. გორბაჩოვი და ნ. ი. რიუკოვი შეხვდნენ პარტიის XXVIII ყრილობის მონაწილე მუშებსა და კოლმეურნეებს.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაცხობველბული განიარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ადგილისა და როლის, ეროვნებთშორისი ურთიერთობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. მ. ს. გორბაჩოვმა და ნ. ი. რიუკოვმა დაწვრილებით უპასუხეს ყრილობის მონაწილეთა მრავალ კითხვას.

ყრილობის დავალების შესაბამისად სარედაქციო კომისიამ განახლდა მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ რეკლუციის პროექტზე.



ჩვენსა და ბ-ნ დავით ზარდიაშვილის მიერ გახვეწილი „ახალგაზრდა იუვერელი“ გამოქვეყნებული სტატიაში „საქართველოს დამოუკიდებლობა: მითი თუ რეალობა“ ჩამოყალიბებული გახლდათ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ გზაზე გარდასული პერიოდის შექმნილი აუცილებელი სპარტაკოზები და პოლიტიკური წინაპირობანი: საქართველოს სსრ გამოცხადების არასამართლებრიობის აღიარება უზენაესი საბჭოს მიერ და შემდგომში (საკონსულტაციო) კომისიის შექმნა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან. წინაპირობანი შესრულებულია, მაშასადამე, გარდასული პერიოდის საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ გზაზე დაწყებულია.

ზოგიერთებისათვის შესაძლებელია საკამათო იყო იქ მოცემული დასაბუთებანი, მაგრამ ჩვენ ასე ვფიქრობთ და სხვაგვარად არ ძალგვის.

ქვემოთ შევცდები წარმოვანიზო გარდასული პერიოდის პირველი ეტაპისათვის აუცილებელი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურათა არსებობის აუცილებლობა და მათი შექმნის გზა.

გარდასული პერიოდის პირველ ეტაპად მიგვაჩნია დროის მონაკვეთი საქართველოს უმადლესი ოფიციალური საკანონმდებლო ორგანოს არჩევამდე.

1. დისიდენტობიდან სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობამდე. საქართველოში ისევე, როგორც სხვა დამყარებული სახელმწიფოებში, ეროვნული მოძრაობა დაიწყო არსებობა ზნობრივი, იდეოლოგიური, კულტურული დიფერენციებისა და პოლიტიკური, ეკონომიკური სტრუქტურების კრიტიკით, მათი ბიჭვინების მიხედვით. არსებული სტრუქტურების ფსევდოდიდიოლოგიურობის, სურთავიკული კულტურის, ეკონომიკური უეფექტობის, უზენაესი გამო (რამაც ქართველი ერი დარწმუნდა) ეროვნულმა მოძრაობამ თითქმის მთელი ერი მოიცვა. თითოეულმა პოპულარული ადგილი ამ მოძრაობაში, თავის მსოფლმხედველობის, ზნობის, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ფარგლებში. გამოჩენილი მარქსისტულ-ნიხიზმით დაავადებულნი წარმოადგენენ, მაგრამ გამოჩენილი ყოველთვის არსებობს.

საბოლოო წერტილი კომუნისტური სახელმწიფოს სახის დარღვევა დაუსვა საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამამ. ეს პროგრამა უკვე აღარ არის კომუნისტური, ეს თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი მიმდინარეობის იდეოლოგიაა. მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს აღარ არსებობს იმ სტრუქტურათა იერსახე, რომელიც ებრძოდა საწყის ფაზაში ეროვნული მოძრაობა, ანუ ის, რაც უწინ იყო დისიდენტური (განსხვავებული აზრის მქონე), ახლა საყოველთაოა. თავისუფლების, ზნობის, ეროვნული ინტერესების, შემყნარებლობის, ტრადიციების, საბაზო ეკონომიკის განხორციელებისა და დაცვისათვის მიქმედება ქართველი ერის მიზანს წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია **სახელმწიფოს მართვის მეშვეობით.**

ქართველი ერი დღეს ცხოვრობს სახელმწიფოში, რომელსაც „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ ჰქვია. რაღა თქმა უნდა, ეს სახელწოდება არაკანონიერი, არასამართლებრივია, თავს მოხვეულია, ოკუპაციისა და

ანექსიის შედეგია და ჩვენ ვესწრებით ამ ოკუპაციის, ანექსიის, არასამართლებრიობის, არაკანონიერების შედეგების აღმოფხვრასა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. ზემოთქმულიდან გამომდინარე დავსძენთ, რომ დღეს ქართველი ერი არსებობს **თვითმმართველობის მქონე** სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში და მხოლოდ ამ თვითმმართველობის მეშვეობით არის შესაძლებელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

ჩვენი ვითარების სიმბოლურად წარმოდგენისათვის, ერთს ძველისძველ მითს მოვიყვანო. ოდესღაც, იუპიტერმა ნაღიმზე დაატყია ოქსიონი. ოქსიონს იუნონა შეუყვარდა და მისი დაუფლება ისურვა, მაგრამ იმერეთის მაგიერად ღრუბელს დაუფლა, რომელსაც იუ-

საქართველოს დამოუკიდებლობა: გარდასული პერიოდი

ნონას სახე ჰქონდა მიღებული. ამის გამო განდენენ კენტავრები — ნახევრად ადამიანები, ნახევრად ცხენები, არსებანი მოუსვენარნი და მუდმივად უშემაფილონი.

მითოსი, მოგვსენებთ, მარადიულ მოვლენათა სიმბოლური სახეა. თქვენის ნებართვით, შევეცდები ამ მითის გადმართანს დღევანდელს საქართველოში. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ვერ დაინახოს — საქართველოს თვითმმართველობა გაჩნდა და ეს რეალობა, თანაც ამჟამად თვალში საცემი. და თუ ეს რეალობა, მაშასადამე, უნდა დავუფიქროთ ამ თვითმმართველობის რეალობას, რათა შევქმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო რეალობა. ეროვნული მოძრაობის ნაწილი ვერ ხედავს ამ რეალობას, ამიტომაც თავისდაუნებურად ემსგავსება იმ ოქსიონს, რომელიც იუნონას მაგიერ ღრუბელს დაუფლა. ეროვნული მოძრაობის ეს ნაწილიც დავუფიქრობოთ იმ ღრუბელს, რომელსაც ეროვნული კონცხები ჰქვია და ამის გამო განდენენ კენტავრები (არსება) — მუდმივად მოუსვენარი და მუდმივად უშემაფილო. ორგანო, რომელიც რაგინდ კეთილის სურვილებით იყოს გაყენებული, „კენტავრების“ მეტს ვერას შექმნის, ვინაიდან იგი ცრუ რეალობაა. მაშასადამე, მეგობრებო, ღრუბლებიდან მიწაზე დავეშვათ, მეოცნებეთაგან რეალობაზე ვიქცეთ, განსხვავებულად ფიქროს მაგიერ (კოლაბორაციონიზმი არ გამოგვივადესო) შევეცადოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობას, რათა დავაგვიდროთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2. კომუნისტური დიქტატორიდან სოციალისტური ოპოზიციამდე. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მაგრამ დღეს საქართველოში კომუნისტური პარტია აღარ არსებობს, ვინაიდან პროგრამა და წესდება იმ პარტიისა, რომელიც დღეს მმართველია, განსხვავებულია კომუნისტური მრწამსისაგან და ეს ერთ-ერთი მოძრაობის დამსახურებაა. ამ პარტიის მრავალრიცხოვანება არ მეტყველებს მის პოლიტიკურ ძალაზე, ვინაიდან სახელმწიფოს

მართვის ის სტრუქტურები, რომლებიც მმართველ პარტიას გააჩნია, იმდენად უმოქმედო და უუნაროა (უზომოდ გაბერილი ბიუროკრატული საბარტი; სამინისტროთა რიცხვი რამდენჯერმე აღემატება სახელმწიფოს მართვისთვის აუცილებელ რაოდენობას), რომ ზელოსუფლების განხორციელების არავითარ პერსპექტივას არ იძლევა.

სახელმწიფოს მართვის ამ სტრუქტურების შეცვლა აუცილებელი პირობაა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის (სამინისტროთა, სამმართველოთა, სხვადასხვა უწყებათა შემცირება, სახელმწიფო დოქტრინის შექმნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის გამოუსაღებარი სხვადასხვა დაწესებულებებისათვის).

ყველას თავისი მსოფლმხედვე-

ლობიდან გამომდინარე სურს არსებული შეცვლა. მმართველი პარტია ცდილობს რაც შეიძლება მალე, არჩევნებამდე, მოახერხოს პარტიული სტრუქტურების გადატანა სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებში (რაიკომებისა და ქალაქკომების გაერთიანება და რაიკომის მიდევნების დაინიშნა აღმასკომებისა თუ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ), რითაც მიანიჭა, რომ გაიმყაროს შერყეულ „წამყვან“ პოზიციას.

არჩევნებამდე პერიოდში მმართველი პარტია შეეცდება მოიხვეჭოს მოსახლეობის მხარდაჭერა, რისთვისაც გამოიყენებს შეჭრებულ სტრუქტურას — პარტია — აღმასკომები ხელისუფლება და იმეორებენ.

ს. ვითარებულში დესტაბილური ვითარების შემადგენელი რეგულირება (ეთნოკონფლიქტები. ვითარება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში). ამ დროს სხვადასხვა პირობების ერთადერთ მომგვარებლად წარმოჩნდება მმართველი პარტია.

ბ. მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მოჩვენებითი გაუმჯობესება (ამის მაგალითი 1990 წლის 25 მარტისთვის დანიშნული არჩევნების წინ გვექონდა). ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღეს მმართველი პარტიის ტაქტიკა გახლავთ **მართვის ილუზიის** შექმნა, ანუ ისეთი ფსიქოლოგიური ფონის შექმნა მოსახლეობაში, როდესაც ხალხს უნდა მიიჩნდეს, რომ „გარდაქმნილი“ კომუნისტური პარტიის გარდა სახელმწიფოს მართვის ვერც ვაუძღვება.

დღეს საქართველოში შექმნილია არაბიბოლარული, მმართველი პარტია — ოპოზიცია, სისტემა, არამედ მრავალპოლარული — მმართველი პარტია და ოპოზიციური ბლოკები, რომლებიც სხვადასხვა მიმართებაში არიან მმართველ პარტიისათვის — ლიბალურიდან (და არა ლიბერალურიდან, როგორც დღეს შეგვიძლია უწოდებენ ამ მიმართებას) დაწყებული ულტრარადიკალური დამოავრებული. ამგ-

ვარი ვითარება სიძნელეებს უქმნის მოქმედებისათვის როგორც ოპოზიციას, მთლიანი გაგებით, ასევე მმართველ პარტიას.

ოპოზიციის სიძნელეთაგან გამოვყოფთ:

ა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების მიერ კომუნისტური პარტიის წევრების წარდგენა დეპუტატობის კანდიდატებად. ეს კანდიდატები ისარგებლებენ ამ მოძრაობათა (რუსთაველის საზოგადოება, სახალხო ფრონტი და სხვა) პოპულარობით მოსახლეობაში თავის საარჩევნო კამპანიისას, სინამდვილეში კი მმართველი პარტიის ერთგული იქნებიან და იმოქმედებენ მისი ინსტრუქციებით.

ბ. ოპოზიციურ ბლოკთა სიმრავლე. საუკეთესო შემთხვევაში ოპოზიციური ბლოკების რიცხვი სამს არ უნდა აღემატებოდეს მმართვე-

ლი პარტია ყოველმხრივ შეეცდება მოჩვენებითი ოპოზიციური ბლოკების შექმნას, ანუ ისეთი პოლიტიკური პარტიების შექმნას, რომლებიც მმართველი პარტიის ერთგული პიროვნებებით იქნება დაკომპლექტებული. ეს ყოველივე კი გამოიყენებს ოპოზიციური ბლოკების რიცხვის გაზრდას (შესაძლებელია 10-15-ც კი გახდეს) და ელექტორატის დეზორიენტაციას.

3. საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობა გაზრდის მის ავტორიტეტს. მმართველი პარტიის სიძნელეთაგან გამოვყოფთ:

ა. საქართველოს კომუნისტური პარტია ერთგვიანობა არ გახლავთ. მართალია ის მრავალრიცხოვანია, მაგრამ ბევრი იმ პიროვნებათაგან, რომლებიც კომპარტიის ნომინალური წევრებია, ამა თუ იმ ოპოზიციურ ბლოკს უჭერს მხარს.

ბ. რამდენიმე ცენტრის გარშემო, მაგრამ არა უმეტეს 3-4-ისა, ოპოზიციის გაცილებით მოქმედი იქნება, ვიდრე მმართველი პარტია.

ბ. ოპოზიციური ბლოკები მეტად პოპულარულია მოსახლეობაში, ვიდრე მმართველი პარტია.

ის, თუ ვინ და როგორ დამოუკიდებელი სიძნელეებს, განაპირობებს იმას, აღმოჩნდება თუ არა მმართველი პარტია კომუნისტური დიქტატორიდან სოციალისტური ოპოზიციის როლში.

3. საქართველოს უმადლეს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებამდე. ნებისმიერი დონის არჩევნებისათვის რომ სტაბილური ვითარება აუცილებელია, ანბანური ქეში მართება გახლავთ, მითუმეტეს სახელმწიფოს უმადლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნის ფაზა. პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა არჩევნებამდე პერიოდში. ის მოსაზრება, რომ პოლიტიკური დესტაბილიზაცია საქართველოში იწვევს იმპერიის დაშლას, მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან იმპერიული პოლიტიკური სტრუქტურები უკვე

დარღვეულია: აბსოლუტურად უმოქმედო სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, ფუნქციონირებადი სსრკ მინისტრთა საბჭო. იმპერია, დღევანდელს ვითარებაში — ცენტრი, თავად იყოფება პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირობებში და ერთადერთი, რაც გადაარჩენს საქართველოს იმპერიის ნანგრევებში მოყოლია, განსაკუთრებით **ქეშირტი დემოკრატია** ჩვენს სამშობლოში. დემოკრატია კი მრავალპარტიული პარლამენტის გარეშე პოლიტიკური ბაბილონის გოდოლია.

მრავალპარტიულ პარლამენტადე კი რიგი საკითხების მოსაგვარებელია. მნიშვნელოვან ვთვლილი და ვთვლით **შემთავსებელი კომისიის** შექმნას მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან. დღეს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა 70%-ზე მეტი საკავშირო დაქვემდებარებაშია და მრჩეველებს საკავშირო სამინისტროების ინსტრუქციათა მიხედვით. ასეთივე მდგომარეობაშია საქართველოს საბანკო სისტემა, რომელიც სსრკ საბანკო სისტემის შემადგენელი ნაწილია. ამის გამო უზარმაზარი ოდენობის თანხა გადის საქართველოს ფარგლებს გარეთ, რისი შეჩერებაც შესაძლებელია საქართველოს მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ დადგენილებათა ძალით, რომლებიც შეთანხმებული უნდა იყოს ოპოზიციის წარმომადგენლებთან (ესტონეთში 1987 წელს რესპუბლიკის დაქვემდებარებაში საწარმოთა 7 პროცენტი გახლდათ, ხოლო 1989 წელს — 27%).

საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის მოქმედება საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ხშირ შემთხვევაში საზიანოა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის და მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებათა მატერიალურ კეთილდღეობას ემსახურება. ხელაღებით მიმდინარეობს ერთობლივ საწარმოთა შექმნა გათვალისწინებულ ძირითადი სტრატეგიული ხაზისა — საქართველო პარტია სახელმწიფოა, რომელიც ჩამოყალიბების პერიოდშია და უნდა ესწრაფოდეს უცხოეთის-მცარე სიმძლავრის ფორმირებას და არა სამრეწველო გეგმებთან, კონტაქტების დამყარებას. ყოველივე ამას წინ უნდა უსწრებდეს საქართველოს ბუნებრივი რესურსების მასპროტექცია (რამდენადც ვიცით, არაოფიციალური წყაროებიდან, რადგან თითქმის ყველა მონაცემი ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის შესახებ გაყალბებულია).

გარდასული პერიოდშივე უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა სტრატეგიული ლერძი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კავკასიის სუვერენულ სახელმწიფოთა და ეროვნული თვითმმართველობის მქონე ხალხებთან და **ზავი ზღვის აუზის** სახელმწიფოებთან მჭიდრო პოლიტიკურ კავშირებს. ამ მიმართულებით მოქმედება საქართველოს მთავრობის მიერ, სამწუხაროდ, ჯერაც არ დაწყებულია.

პოლიტიკური ვითარება უსწრაფესად იცვლება როგორც მსოფლიოში, ასევე ჩვენთანაც. ვიმედოვნებ, რომ საქართველოში სულ მალე **ნამდვილი პოლიტიკა** დაიწყება

ზურაბ მინსურამი,
საქართველოს რესპუბლიკური ფედერალური პარტიის დირექტორატის წევრი.

მინ დახედავს ახალგაზრდა გამოგონებულს?

ფანტაზია გამოგონებლის ყველაზე მთავარი ნიშან-თვისებაა. როცა ბუნება მეოცნებებს მაძიებელ ნიჭსაც უბოძებს, იგი რეალურ შედეგებამდე მიდის, მთავარია, დავებმართო და ეს ნიჭი სწორი გზით წარმართო.

ჩვენ ერთი ყმაწვილის ოცნების ნათელი ნაყოფი გვაქვს: ეს არის ამერიკული მსუბუქი ავტომანქანა „ჩიპის“ ტიპის მოდელი. მაგრამ ეს უძრავი მაკეტი არ გვეგონოთ, აქ ფორმა გარდა არის მორგებული პრინციპებთან, მხოლოდ განზომილებებშია გადასხვავება: მსუბუქ ავტომანქანას ერთი მეტრი სიმაღლე, ორი მეტრი სიგრძე და შესაფერისი სიგანე აქვს. ისეთი სუ-

ფთა ნამუშევარია, კონვირიდან ახალი ჩამოსული გვეგონებათ. როცა ქუჩაში პირველად გამოჩნდა ეს შინდისფერი უცხო ავტომანქანა, მაშინვე გახდა ცნობილი, რომ მისი გამოგონებელია დუშეთის მე-2 საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე **გია პირმისაშვილი.**

ჰედაგოვ ლალი ოდომელიძესთან (იგი გ. პარმისაშვილის ავტოსაქმეს ასწავლის) და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტებთან, ტექნიკის და პროგრესული მეთოდების დანერგვის განყოფილების გამგეობა ლავ-

რენტე ცხორაგულთან ერთად ვნახე ეს საინტერესო გამოგონება.

გია მიახლო, რომ ნაწილები მწყობრიდან გამოსული მანქანადანდგარებისა და მეორადი კომონენტების გროვებში ნახა, ზოგი კი მინდობიდან მოიტანა. ავტომანქანის აწყობის იდეა მეშვიდე კლასში გასჩენია. მაშინ კი, როცა ავტომანქანის სწავლა დაიწყო, ცდილობდა ჩასწვდომოდა რაღაც საიდუმლოს, რაც, მისი აზრით, ყველა საგანში ძვეს, როცა დარწმუნდა, რომ ყველა დეტალის დანიშნულება იცის და შეუძლია დაშლილი ავტომანქანის აწყობა. გაურინდა სურვილი თვითონ შეექმნა მსგავსი რამ, მხოლოდ ისეთი ნაწილებით, რომლიდანაც განსხვავებული ფორმის მოდელს მიიღებდა. ყველაზე ძალიან ამერიკული ავტომანქანა „ჩიპი“ მოსწონდა და



(დასასრული მე-8 გვ.)

